

ჯემალი ყურაშვილი

კორუფციული დანაშულის წარმომქმნელი ძირითდი ფაქტორები

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 ჯემალი ყურაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი სახელი გვარი მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „სამაგისტრო თემის სათაური“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: ჯემალი ყურაშვილი

დასახელება: კორუფციული დანაშაულის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამოცდო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭვდა და სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში. როგორც ეს

მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

დღესდღეობით, თანამედროვეობის გლობალურ პრობლემებს შორის, რომლითაც წყდება მსოფლიო თანამეგობრობის შემდგომი განვითარების ახალი ასწლეული, ერთ-ერთი ყველაზე მწვავეს წარმოადგენს კორუფციის პრობლემა. გლობალიზაციის პირობებში, რომელმაც შეიძინა ახალი ხარისხი, კერძოდ, თავის ტრანსნაციონალურ ფორმებში, კორუფცია გლობალიზაციის ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობაა, მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი გამონწვევა. კორუფციის პრობლემა ატარებს ფართო ხასიათს და გარდაიქმნა სისტემის პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე. კორუფცია, მისი ბუნება, მასშტაბი და განვითარების მახასიათებლები - ეს არ არის მხოლოდ ქვეყნის გადაუჭრელი თანამედროვე სახელმწიფო-პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. როგორც მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს, კორუფცია ყოველთვის იზრდება სოციალური ურთიერთობების ტრანსფორმაციის კონტექსტში. ეს ეხება საქართველოს ტოტალიტარული სახელმწიფოდან დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნას, ცენტრალიზებულ ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, დახურული რეპრესირებულ სახელმწიფოდან ღია დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქმნას. ამ ცვლილებების წინააღმდეგობამ განაპირობა კორუფციის სწრაფი ზრდისა და კორუფციის ფართო გავრცელების მიზეზების ერთმანეთთან დაკავშირება. დღეს საქართველოში გავრცელებული კორუფციის ძირითადი მიზეზი არის უპასუხისმგებლო და არაეფექტური ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოების განუვითარებლობა, კონკურენციის არარსებობა, ეკონომიკის "ჩრდილოვანი" ბუნება, კანონმდებლობის არასრულყოფილება. ნაშრომში განხილულია კორუფციის ცნება და მისი გამოვლენის ფორმები და სახეები, ასევე კორუფციული დანაშაულის მიზეზები, კორუფციის პრევენცია, მისი საერთაშორისო გამოცდილება და ა.შ.

абстракт

В настоящее время среди глобальных проблем современности, от решения которых зависит дальнейшее развитие мирового сообщества в новом столетии, одной из самых острых является проблема коррупции. Приобретая в условиях глобализации новое качество, выражающееся, в частности, в ее транснациональных формах, коррупция является серьезнейшим противоречием глобализации, одним из вызовов мировому развитию. Проблема коррупции носит массовый характер и превратилась в системную проблему, которая затрагивает все сферы человеческой жизнедеятельности. Коррупция, ее характер, масштабы и особенности развития – это не только следствие нерешенных современных государственно-политических, социальных и экономических проблем страны. коррупция, как показывает мировой опыт, всегда растет в условиях трансформации общественных отношений. Это относится Грузии к переходу от тоталитарного государства к демократическому и правовому, от централизованной экономики к рыночной, от закрытого, подавленного государством общества к открытому, демократическому обществу. Противоречия этого перехода обусловили возникновение взаимосвязанного комплекса причин стремительного роста и масштабного распространения коррупции. Главными причинами широкого распространения коррупции в Грузии сегодня являются безответственная и неэффективная власть, неразвитость гражданского общества, неконкурентоспособность, сырьевая направленность и теневой характер экономики, несовершенство законодательства. В статье рассматриваются понятие коррупции, а также формы и виды выявления, а также причины коррупции, предотвращение коррупции, ее международный опыт и т. Д.

სარჩევი

შესავალი

თავი 1. კორუფციის არსი

1.1. კორუფცია, როგორც მოვლენა (ისტორიული რაკურსი)

1.2 კორუფციის ცნება

1.3 კორუფციის გამოვლენის ფორმები და სახეები

თავი 2. კორუფციის წარმოქმნელი ფაქტორები

2.1 კორუფციული დანაშულის ხელშემწყობი ფაქტორები

2.2 კორუფციული დანაშულის ჩამდენი პირის მახასიათებლები

თავი 3. კორუფციის მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა

3.1 კორუფციული დანაშულის დეტერმინაცია

3.2 კორუფცია საქართველოში

თავი 4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება

4.1 ამერიკის ანტიკორუფციული გამოცდილება

4.2 საფრანგეთის ანტიკორუფციული გამოცდილება

4.3 დიდი ბრიტანეთის ანტიკორუფციული გამოცდილება

თავი 5. კორუფციის პრევენცია

5.1. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია

5.2. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით

5.3. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია

5.4. კორუფციის კრიმინალიზაცია, როგორც პრევენცია

6. დასკვნა

7. ბიბლიოგრაფია

შესავალი

“კორუფცია სასტიკი სენია, რომელიც მრავალმხრივ ვნებს საზოგადოებას. იგი აზარალებს დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, იწვევს ადამიანისა უფლებების შელახვას, აფერხებს ბაზრების საქმიანობას, აუარესებს სცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმს და სხვა მოვლენებს, რომლებიც ადამიანის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.”

კოფი ანანის შესავალი სიტყვა კონვენციისთვის “კორუფციის წინააღმდეგ”.

კორუფციული დანაშაული, რომელიც ერთ-ერთი გავრცელებული დანაშაულია მსოფლიოში წარმოადგენს მეტად რთულ სოციალურ მოვლენას, რომელიც უძველესი დროიდან აღმოცენდა და დღესაც არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

დღეს ამ კრიმინალურ ფენომენს სოციალური განვითარების თანამგზავრადაც კი მიიჩნევენ, რომელმაც ერთიანად მოიცვა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დემოკრატიულიც და

ტოტალიტარულიც, ეკონომიკურად ძლიერი და ნაკლებად განვითარებული, სამრეწველო და აგრარული, დიდი და პატარა სახემწიფოები.¹

რაც უფრო პროგრესისკენ მიილტვის საზოგადოება მით უფრო მძლავრდება სოციალური კატაკლიზმების მორევი, ეკონომიკური კატასტროფები, რაც ისევ და ისევ ნაცოფიერ ნიადაგს უქმნის კორუფციას.

ფაქტებით დასტურდება რომ კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ ყოფაზე. მისი თანმდევინეგატიური შედეგი არათუ ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლასა და პროგრესს, არამედ სეროზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უშიშორებასაც.

კორუფციის ზრდის განმაპირობებელი შედეგებით მნიშვნელოვანი ფაქტორების გარდა, როგორებიცაა ქვეყნის ისტორიული ფესვები, სახელმწიფო მანქანის დისფუნქცია, ასევე ზოგიერთი ისტორიული და კულტურული ტრადიცია, აღნიშნულთან ერთად მიზამწინონილად მიგვაჩნია გამოვეყოსხვა ისეთ ფაქტორები როგორიცაა:

- 1.ახალ ეკონომიკურ სისტემაზე სწრაფი გადასვლა, რაც არ არის განმტკიცებული სამართლებრივი ბაზითა და კულტურით.
2. საბჭოთა პერიოდში ნორმალური სამართლებრივი სისტემისა და შესაბამისი კულტურული ტრადიციების არარსებობა.
3. კონტროლის სისტემის დარღვევა.²

კორუფციული დანაშაული დასაბამიდან კაცობრიობის თანმდევი სენია.

იგი დღესდღეობით შესაძლებელია გამოვლინდეს მექრთამეობაში, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ანუ როგორც საჯარო სექტორში ასევე სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულს წარმოადგენს.

¹ მაცაბერიძე, ზ. (2009). *კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი ღონისძიებები*. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“.

² ინსტ., თ. წ. (2008). *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში*. თბილისი.

დღეს როდესაც ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის თვიდან აცილების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ორმაგი ძალისხმევა გემართებს საჭირო მიზნის მისაღწევად. კორუფციასთან ბრძოლა და მისი ეფექტური პროფილაქტიკა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის ყოველმხრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დღეისათვის არსებულ სამართლებრივ ფონზე, ბევრი არსებითი პრობლემაა, რაც გარკვეულწილად დაძლეულ უნდა იქნას ორგანიზაციული და სისხლისამართლებრივი ღონისძიებათა სრულყოფის გზით. კორუფციასთან ბრძოლის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ისეთი ორგანიზაციული ხასიათის მიმართულებებს, როგორცაა:

- ა) ღონისძიებები, რომლებიც ართულებენ დანაშაულის ჩადენის რისკებს.
- ბ) ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ დანაშაულის შედეგად სარგებლის მიღების შესაძლებლობებს და ა.შ

დანაშაულობა, მისი წარმომშობი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები და განსაკუთრებით ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმები, შეუძლებელია გამოკვლეული იქნას დამნაშავის პიროვნების შესწავლის გარეშე. აუცილებელია კორუფციული დანაშაულობის განხილვისას არ შევცხოთ, ისეთ საკითხს როგორცაა, ბიოლოგიური და სოციოლოგიური მიმართულება დანაშაულებრივი ქცევის შესწავლაში.

კორუფციასთან ბრძოლის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებათა განახლებული ფორმებისა და მეთოდების შემუშავების აუცილებლობა და კორუფციის დანაშაულობის წარმომქმნელი ძირითადი ფაქტორების განსაზღვრა და წარმოჩენა, ვფიქრობთ, აქტუალურს ხდის ნაშრომს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ნაშრომის მიზანია**, კორუფციული დანაშაულობის წარმომქმნელი იმ ძირითადი ფაქტორების დადგენა და გამოკვეთა, რომელიც უბიძგებს პიროვნებას, რომ ჩაიდინოს აღნიშნული დანაშაული, ასევე მისი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის პირობებთან მიმართებაში სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულობის კვლევა და ყოველივე ამის საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების წარმოდგენა, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება კორუფციული დანაშაულობის ჩადენის წარმომქმნელი ძირითადი ფაქტორების უკეთ გაგებაში.

შესაბამისად, ნაშრომში განხილული იქნება კორუფციული დანაშაულის საერთო მდგომარეობა, აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ხელიშემწყობი პირობები, დამნაშავის პიროვნება და მისი ქცევის მექანიზმები, ასევე აღნიშნული დანაშაულის კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები და კორუფციულ დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართული სისხლისამართლებრივი ღონისძიებები. მისი გამოვლენის ფორმები, და თავიდან აცილების გართულებული პრაქტიკა, ასევე საქართველოს საზღვარგარეთის გმოცდილება კორუფციასთან ბრძოლის სფეროში.

ნაშრომი დაფუძნებულია სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის ეკონომიკის, და სხვა დარგთა სფეროში მოღვაწე მეცნიერთა მოკვლევებს.³

მეთოდოლოგიური ბაზა და კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოიყენებული იქნება კვლევის ანალიტიკური მეთოდი, რომელიც შეესაბამება კრიმინოლოგიური თეორიის მოთხოვნას. რომლის საფუძველზე თავდაპირველად დგინდება ქვეყანაში კორუფციის მდგომარეობა, აღინერება მისი მიზეზები და, შესაბამისად, განიხილება კორუფციის პრევენციის ძირითადი მიმართულებები. თავის მხრივ, ანალიტიკური მეთოდი მოიცავს საკითხისადმი როგორც დედუქციურ, ისე ინდუქციურ მიდგომას. დედუქციის მეთოდი ძირითადად კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებული საერთო საკითხების დახასიათებისას გამოიყენება, ხოლო პრევენციის ძირითადი ფორმების დეტალურ განხილვას საფუძველად დაედება ინდუქციური მეთოდი.

ნაშრომში აგრეთვე გამოყენებული იქნება კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომლითაც დგინდება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული კორუფციის პრევენციის სისტემების თავისებურებანი. ვინაიდან ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სამართლებრივი საკითხების განხილვას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ნორმატიულ-ლოგიკურ მეთოდებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ კანონმდებლობის თავისებურებათა დადგენას და საკანონმდებლო ნორმების დახასიათებას. ნაშრომში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ

³ მაცაბერიძე, ზ. (2009). *კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი ღონისძიებები*. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“.

მიდგომას, რომლითაც უნდა გამოვლინდეს სამართლებრივი პოლიტიკის მიმართულებები და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათთან კრიმინოლოგიური რეკომენდაციების შესაბამისობა.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება - 5 თავის და 14 ქვეთავისაგან. პირველ თავში განხილული იქნება თუ რა ისტორიული ფესვები გააჩნია კორუფციულ დანაშაულს და საიდან იღებს დასაბამს, ასევე განმარტებული იქნება, თუ რას ნიშნავს კორუფცია (კორუფციის ცნება) და როგორი ფორმებით და სახეებით ვლინდება იგი თანამედროვე ცხოვრებაში. მეორე თავში მეორე თავში საუბარი იქნება ნაშრომის სათურიდან გამომდინარე კორუფციის წარმომქმნელ ფაქტორებზე, კერძოდ თუ რა პირობები უწყობელს ხელს იმას, რომ ჩდენილ იქნას კორუფციული დანაშაული, განხილული იქნება სხვადასხვა პრობლემები თუ რამ შეიძლება გამოიჭვიოს კორუფციული დანაშაული და ასევე მოცემულ თავში განხილული იქნება კორუფციული დანაშაულის ჩამდენი პირის ძირითადი მახასიათებლები. მესამე თავში კორუფციის მდგომარება , სტრუქტურა და დინამიკა კერძოდ, თუ როგორი გზა განვლო საქართველოში კორუფცია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და რა რეფორმებით შემცირდა კორუფციის დონე საქართველოში. მეოთხე თავში კი საუბარი იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილებაზე, კერძოდ აშშ-ის, საფრანგეთის, და დიდი ბრიტანეთის მაგალითებიდან, ხოლო ბოლო მეხუთე თავში რათმაუნდა განხილულია კორუფციის პრევენცია , სადაც საუბარია კორუფციის პრევენციაზე სხვადასხვა სფეროში და ასევე ისიც , თუ რა ნორმების გამოყენებით ხდება მისი პრევენცია და კრიმინალიზაცია.

1. კორუფციის არსი

1.1 კორუფცია როგორც მოვლენა (ისტორიული რაკურსი)

უძველესი დროიდან ძალაუფლება და კორუფცია ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია. მთელი ისტორიის მანძილზე, სახელმწიფოს ევოლუცია, ხდებოდა კორუფციას ერთად. თუ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში, გარკვეული საფასურის გადახდა, მღვდელმთავრისათვის, ლიდერისთვის ან სამხედრო ხელმძღვანელისთვის მათი პირადი მიმართვის მიზნით, დახმარებისათვის განხილვებოდა როგორც, საყოველთაო ნორმა, შესაბამისად სახელმწიფო აპარატის გართულებასთან ერთად, პროფესიონალმა თანადემობის პირებმა ოფიციალურად დაინყეს მხოლოდ ფიქსირებული შემოსავალის მიღება - რაც გულისხმობდა კორუფციას „ჩრდილოვანი“ ეკონომიკისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კორუფცია, სოციალური მონყობის ყველა მოდელისთვისაა დამახასიათებელი, რომლისათვისაც ნიშანდობლივია საზოგადოების, მისი ცალკეული ინსტიტუტების წარომადგენელ პირთ მხრიდან ხელისუფლებრივი უფლებამოსილების დელეგირება ან ამგვარი შესაძლებლობათ უზურპაცია. კორუფცია დასაბამიდან, კაცობრიობის თნმდეი სენია. დღეს ამ კრიმინალურ ფენომენს, სპციალური განვითარების თნამგზავრადაც კი მიიჩნევენ. მის ისტორიულად გარდაუვალ, მუდმივ, ხასიათს თვით ამ ტერმინის (ლათ. „corrumpere“) ეტიმოლოგიაც ადასტურებს.⁴

კორუფციის უძველესი მტკიცებულებები, სამნუხაროდ,საკმაოდ მცირე რაოდენობით გადარჩა, მაგრამ თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უძველეს დროიდან

⁴ მაცაბერიძე, ზ. (2009). *კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი ღონისძიებები*. თბილისი: პირველი გამოცემა „ბაკმი“ გვ.40.

მომდინარეობს და არაა გასაკვირი, რომ იმ პერიოდშიც ყოფილიყო გავრცელებული. პრიმიტიულ და ადრეული კლასის საზოგადოებებში მღვდელმთვრისათვის, ლიდერისათვის ან სამხედრო მალჩინოსანისათვის პირადი მოსაზრებებისა და დახმარებისთვის რაიმე თანხის გადახდა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის გართულების შემდგომ, სიტუაცია შეიცვალა - "მაღალი რანგის" მმართველები მოითხოვდნენ, რომ "ქვედა დონის თანამშრომლები" მხოლოდ ფიქსირებული "ხელფასით" ყოფილიყვნენ გამაყოფილნი. მიუხედავად ამისა, "ქვედა რანგის თანამდებობის პირები" ფარულად იღებდნენ განმცხადებლებისგან (ან მათგან მოითხოვდნენ) დამატებით გადახდას მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. ძველი აღთქმის მიხედვით, სიტყვა "ქრთამი" უკვე გამოიყენებოდამ "... ვიცი, რამდენი დანაშაულია და რამდენად სერიოზულია თქვენი ცოდვები: თქვენ ავინროვებთ მართალ ადამიანს, იღებთ ქრთამს, ხოლო საცოდავს რომელიც სამართლიანობას ეძებს, ავდებთ სახლიდან".⁵ არსებობს დოკუმენტები, რომელიც ამტკიცებენ, რომ კორუფცია იერუსალიმშიც არ წარმოადგენდა უცხოს, ეს ეხება იმის შემდგომ პერიოდს, როცა იუდეველები იმყოფებოდნენ ბაბილონის ტყვეობაში, ხოლო ალბათ, ყველაზე ცნობილი ფაქტი კაცობრიობის ქრთამის აღების ისტორიაში არის, იუდას მოსყიდვა, რომელიც ოცდათექვსმეტ ვერცხლისთვის გაიყიდა. გასათვალისწინებელია, რომ უძველესი საზოგადოებების განვითარების ისტორიის ადრეულ ეტაპზე, როდესაც არ იყო "პროფესიონალი" ხელისუფლების წარმომადგენლები, კორუფცია თითქმის არ არსებობდა. ეს ფენომენი მხოლოდ აყვავებულ ეპოქაში დაიწყო, მაშინ როდესაც სახელმწიფო მოხელეები გამოჩნდნენ, რომელთა შესახებაც ამბობდნენ შემდეგს: "... იგი მოვიდა ღარიბი მდიდარ პროვინციაში და წავიდა მდიდარი ღარიბი პროვინციიდან. ...". ამ პერიოდის განმავლობაში რომის სამართალში გამოჩნდა სპეციალური ტერმინი "«corrumpire», რომელიც, სხვადასხვა დროს, სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ასე მაგალითად, იგი განიმარტებოდა როგორც: კუჭის დაზიანება ცუდი საკვებით, დახურულ ჭურჭელში წყლის გაფუჭება, დოვლათისდანიავება, სულიერი დაცემა შესაძლებლობების ხელიდან გაშვება, წყაროს დაშრობა, თავისუფლების მოსპობა, ქალის მოტყუება, ახალაზრდობის გარყვნა, აზრის დამახინჯება, შედეგის ფალსიფიკაცია, ღირსების შელახვა და სხვა.⁶

⁵ აღთქმა, d. (თ. გ.).

⁶ მაცაბერიძე, ზ. (2009). *კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი ღონისძიებები*. თბილისი : პირველი გამოცემა "ბაკმი".

ამრიგად, კორუფცია გამოჩნდა იმ მომენტიდან, როდესაც საჯარო და ეკონომიკურ საქმიანობაში მმართველი ფუნქციების განცალკევება მოხდა, როდესაც ოფიციალური თანამდებობის პირს, "მენეჯერს" მიეცა საშუალება, ემართა სახელმწიფო რესურსები და მიეღო გადანყვეტილებები არა საზოგადოებრივი იტერესებისათვის, არამედ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. კორუფციის შესახებ ცნობილია იმ პერიოდის ფორმირების დროსაც, როდესაც ჩამოყალიბდა სახელმწიფოები, მსოფლიო ცივილიზაციის უძველეს ცენტრებში. ესენია: ეგვიპტე, მესოპოტამია, ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ. ამ ქვეყნების რელიგიურ და სამართლებრივ ლიტერატურაში, არსებობს მტკიცებულებები სპეციალური ურთიერთობების შესახებ, უძველესი ელიტის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ფართომასშტაბიანი კორუფციის შესახებ ინფორმაცია, ასევე ცნობილია ელინისტური სამყაროში, რომელიც მოხდა ძვ.წ 320 წელს. ანალოგიური, ფართომასშტაბიანი კორუფციული სპეკულაცია ცნობილი იყო ძვ.წ IV ძვ.წ. საუკუნეში, როდესაც ლითონებით ვაჭრობდნენ. ერთ-ერთი მაგალითი - გარკვეულმა "ფინანსურმა მაგნატმა", იყიდა ყველა რკინა, მოახდინა ბაზრის მონოპოლიზაცია, შემდეგ კი ყილდა 3-ჯერ უფრო მაღალ ფასად, საიდანაც, მიიღო 200% -იანი მოგება. რომს რაც შეეხება, რომში ქრთამის ორმოცი ფორმა არსებობდა, ამომრჩეველთა მოსყიდვა და სხვადასხვა „პოსტების“ შექმნა ძალიან ბუნებრივი და ფართოდ გავრცელებული ამბავი იყო.

ევროპაში კორუფციის მასობრივი გავრცელება იწყება ადრეული შუა საუკუნეებში, როდესაც ფულადი ურთიერთობები სწრაფად განვითარდება, გაიზარდა სახელმწიფო აპარატი და სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების შერწყმა მოხდა, რომლებიც უკვე ეწინააღმდეგებოდა რომის სამართლის პრინციპებს. უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში, კორუფციის ცნება, საეკლესიო, კანონიკურ მნიშვნელობას იძენს, რომლის თანახმად, იგი ეშმაკისეულ ცდუნებად განიხილება.⁷ შუა საუკუნეებში კორუფციის პრობლემა "წარმატებით გვარდებოდა" ინკვიზიციის გზით ან კიდურების მოწყვეტით, ხოლო პრალის მაცხოვრებლები ფანჯრებიდან აგდებდნენ თანამდებობის პირებს, რომელთაც ამხელდნენ კორუფციულ ქმედებაში. ასევე, შუა საუკუნეებში, კომერციული ან სახელმწიფო მოსყიდვის სისტემა ფართოდ გამოიყენებოდა სამღვდელოების მიერ. კათოლიკურ ეკლესიაში, მასობრივი კორუფცია კარგად იყო ცნობილი, მაგალითად, იმავე ინდულგენციების რეალიზაციით. ისტორიში, ასევე ცნობილია, რომ XIV საუკუნის დასასრულს, "ორპაპიანობის" პერიოდში, ერთ - ერთი პაპი სახელად კლემენტ VII

⁷ მაცაბერიძე, ზ. (2009). *კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი ღონისძიებები*. თბილისი: პირველი გამოცემა "ბაკმი" გვ.42 .

ავიდა ტახტზე, რომელიც იმ დროს ცნობილი ყაჩაღი რობერტ უენეესკი იყო, ხოლო XV საუკუნის დასაწყისში პაპის ტახტზე ასევე ადის, მესამე პაპი, ზღვის მეკობრე Balthazar Cossa სახელით, იოანე XXIII. არის ცნობები, რომ აღნიშნულ "არჩევნებს" კარდინალების ხმების მოსყიდვის გარეშე არ ჩაუვლია. თუ თვალს გადავაავლებთ ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიას, კორუფციის ადეკვატურ გამოხატულებას აღნიშნულ სამართლის ძეგლებშიც ვნახავთ. სამონასტრო წესდებათა სამართლი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველ ნორმებზე. იმ დანაშაულთა, რომელიც თანამდებობის პირებს შიძლებოდა ჩედინათ და საეკლესიო სამართლის სფეროს ეხებოდა, იხსენიება: „ორგულობა“, „ღალატი“, „მოხუცაი მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებათი“, „აღებაი ქრთამისაი“ და სხვა.⁸

ოსმალეთის იმპერიაში, შუა საუკუნეებში, და ასევე მოგვიანებით, კორუფცია იყო ამაზრზენი, და დღემდე ითვლება რომ, სულთნის მოხელეებმა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას ქრთამის გამო მოაწერეს ხელი. დიახ, ოსმალეთის იმპერია, ისევე როგორც, რომაული და ბიზანტიური იმპერია დაიშალა და დაინგრა, მათ შორის იმის გამო, რომ ყველა და ყველაფერის გაყიდვა და ყიდვა იყო შესაძლებელი - ხალხის, თანამდებობების, მომსახურების და შეწყალების.

"ინგლისიც არ ჩამორჩებოდა" - ინგლისში, ყვაოდა ღიად "კორუფციის ტრადიციების ჩამოყალიბება", ქვეყნის მართველების მაღალ ეშელონებში. ჩარლზ Montesquieu აღნიშნავდა: " - უკვე ცნობილია საუკუნეების გამოცდილებიდან გამომდინარე, რომ ყველა ადამიანს, რომელსაც აქვს ძალაუფლება, მიდრეკილია ბოროტად გამოიყენოს იგი, და ის მიდის ამ მიმართულებით, სანამ იგი არ მიაღწევს ლიმიტით განსაზღვრულ მისთვის სასარგებლო ზღვარს...".

"კორუფციის" კონცეფციის თანამედროვე მნიშვნელობა საბოლოოდ დამტკიცდა მე - XV და მე -XVI საუკუნეებში და კორუფციის ქვეშ ჩვეულებრივად იგულისხმებოდა საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა, სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და თანამდებობის პირთა, მოსყიდვას, მომსყიდველობას და გამყიდველობას. საფრანგეთშიც, იმპერატორ ნაპოლეონის დროს, მისმა მინისტრები ფუჩე და ტალერანდი, იღებდნენ ქრთამს, ევროპის ყველა სამეფო ტახტის წარმომადგენლებისგან, იმ მიზნით, რომ შემდგომ იმპერატორი ნაპოლეონი გაუნეცდა მათ მფარველობას.

განვითარებულ ქვეყნებში კორუფციის ევოლუციის ახალი ეტაპი დაიწყო XIX და XX საუკუნეები. ერთი მხრივ, დაიწყო სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების მომდევნო ეტაპი და, შესაბამისად, მოხდა თანამდებობის პირთა ძალაუფლების

⁸ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ტ. მე-7. გვ.244

გაძლიერებას, მეორე მხრივ კი წარმოიქმნა , დიდი კერძო ბიზნესი,რომელიც კონკურენციის პერიოდში დახმარებას სთხოვდა, სახელმწიფოს, მოსყიდვის გზით . როგორც კი პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა განვითარდა, განვითარებულ ქვეყნებში (განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში), მაშინვე ფეხს იკიდებს პარტიული კორუფცია, როდესაც მსხვილი ფირმები და ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთი ინტერესების ლობირებისათვის,ფულად თანხას უხდიდნენ, არა პოლიტიკოსებს პირადად, არამედ პარტიის სალაროებში რიცხავდნენ. მოგვიანებით კორუფციის შინაარსობრივი დატვირთვა, მის კრიმინოლოგიურ და სისხლისამართლებრივ მხარეებზე გადადის. თომას ჰობსი წერდა: „ ადამიანები , რომლებიც საკუთარი სიმდიდრით იკვებნიან, თმამად ჩადიან, დანაშაულს იმ იმედი, რომ სასჯელისგან თვის დაღწევას, სახელმწიფო იუსტიციათ კორუმპირებულობით შეძლებენ.“⁹

XX საუკუნის მეორე ნახევარში კი, კორუფცია სულ უფრო მეტად გახდა საერთაშორისო პრობლემა. მაღალი კორპორაციების მიერ თანამდებობის პირების მოსყიდვამ ფართო მაშტაბის ხასიათი მიიღო. გლობალიზაციამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ კორუფციმ იმოქმედა უარყოფითად მრავალი ქვეყნის განვითარებაზე. თავის გამოცემაში 1995 წლის 31 დეკემბრის გაზეთმა "Financial Times" - მა გამოაცხადა, 1995 წელი "კორუფციის წელად". კორუფციის ცოდნის გაღრმავების მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კორუფციის წინააღმდეგ საერთაშორისო დღედ (9 დეკემბერი) დაასახელა.¹⁰

მაშსადამე, მივედით იმ დასკვნამდე , რომ კორუფცია ყველა დროის მანძილზე ავლენდა თვს, იგი იყო შდარებით მარტივ ფომებში გამოხატული. დღესდღობით კი დანაშაულებრივი ქმედებების გართულებასთნ ერთდ, კორუფციამაც შეიცვალა სახე, ასევე მისმა საერთო სისტემამაც, შესაბამისად, კორუფციამ გამოვლინების მარტივი ფორმიდან, გადაინაცვლა შედარებით რთულ ფორმებში.

1.2 კორუფციის ცნება

⁹ Гоббс, Т. (თ. გ). *Левифан, или Материя, форма и власть государства церковного и гражданского.* გვ.229.

¹⁰ <https://www.un.org/en/events/anticorruptionday/>. (თ. გ.).

კორუფციას დღესდღობით თვისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ, ტრადიციული და მეტად გავრცელებული დანაშული.¹¹ კორუფცია რთული სოციალური მოვლენაა, რომელიც უძველესი დროიდან აღმოცენდა და დღესაც არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ფართო გაგებით კორუფცია არის სოციალური მოვლენა, რომელიც ზიანს აყენებს მართველობის საჯარო აპარატს, რაც გამოიხატება ხელისუფლების გარყვანაში, სახელმწიფო ასევე მუნიციპალურ და სხვა საჯარო პირთა მიერ უფლებამოსილების, სამსახურეობრივი მდგომარეობის, დაკავებული თანამდებობის სტატუსისა და ავტორიტეტის ანგარებით განზრახ ბოროტად გამოყენება პირადი გამდიდრების ან ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. კორუფცილ დანაშაულს დღეს შეიძლება დარწმუნებით ვუწოდოთ ტრადიციული და მეტად გავრცელებული დანაშული ყველა დანაშულთგან, რომელიც არსებობს არა მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოში, არამედ მსოფლიოს სხვა ცივილიზებულ ქვეყნებშიც.

კორუფცია არის - თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ქრთამის მიცემა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, კომერციული მოსყიდვა ან სხვა უკანონო მოქმედება, თანამდებობის პირის მიერ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესების საწინააღმდეგოდ, რათა მიიღონ სარგებელი ფულის, ფასეულობების, ან სხვა ქონების სახით, ასევე საკუთრების უფლების მიღება საკუთარი თავის ან მესამე პირების სასარგებლოდ.

კორუფციის ბევრად უფრო ფართო განმარტებას იძლევა ევროსაბჭოს დისციპლინური ჯგუფი. მათი აზრით კორუფცია წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობაზე და კერძო სექტორში მომუშავე პირთა დამოუკიდებელი აგენტების და სხვა სტატუსის მქონე მოსამსახურეთა მექრთამეობას ან მათ მხრიდან ნებისმიერ სხვა ისეთ არამართლზომიერ ქმედებას, რასაც თნ სდევს დარღვევები მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას და მიზნად ისახავს თვითნებობის ან მესამე პირთათვის უკანონო სარგებლის მიღებას.¹² მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ კორუფცია საზოგადოების, სახელმწიფო ხელისუფლების, ყველა დონეზე საჯარო სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უკანონო საქმიანობის განსაკუთრებული ფორმაა. გარიგება ოფიციალურ პირსა და იმ პირს შორის, რომელიც შეთქმულებაში შევიდის. აქედან გამომდინარე, მიღებული მატერიალური და არამატერიალური უპირატესობების უკანონობა, არის ამორალური მათ გარშემო სოციალურ ფონზე.

¹¹ https://kpfu.ru/docs/F769475982/2_Xalil_korub.pdf. (თ. გ.).

¹² თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის, ი. (2008). *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში*. თბილისი: გვ.257.

გარდა ამისა, კორუფციის ფორმები მრავალფეროვანია: საჯარო რესურსების და ფონდების უკანონო განაწილება და უკანონო პრივატიზაცია, პოლიტიკური სტრუქტურების უკანონო მხარდაჭერა და დაფინანსება (პარტიები და ა.შ.), შეღავათიანი სესხების გაცემა, შეკვეთები, პირადი კონტაქტების გამოყენება საჯარო რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით - საქონელი, მომსახურება, შემოსავლის წყაროები, პრივილეგიები, ნათესავებისათვის, მეგობრებისათვის, ნაცნობებისათვის სხვადასხვა სახის მომსახურება და ა.შ. ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს უფლებამოსილება რესურსების გამოყენების (თანამდებობის პირი, მოადგილე, მოსამართლე, სამართალდამცავი ორგანო, ადმინისტრატორი, ექსპერტიზა, ექიმი და ა.შ.), ნებისმიერ დროს შეიძლება ჩიდინოს კორუფციული დანაშაული. კორუფცია მთელ მსოფლიოში არის დაგმობილი, იგი იწვევს სერიოზულ და ზოგჯერ გამოუსწორებელ ზიანს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ, რომლებიც საბოლოო ჯამში ზიანს აყენებს ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა, მუშობს თუ არა იგი საჯარო სექტორში. კორუფცია უპირველეს ყოვლისა არის სისტემა, და თუ თქვენ აძლევთ ან იღებთ ქრთამს, შესაბამისად იღებთ მონაწილეობას კორუფციულ გარიგებაში, თქვენი ან ვინმე თანამდებობის პირის პოზიციაზე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის მისაღებად, თქვენ ხდებით კორუფციული სისტემის ნაწილი და გეკისრებათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო საქმიანობისთვის. გარდა ამისა, თქვენ გეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა, მაშინაც კი, თუ თვალს დახუჭავთ რაიმე კორუფციულ ფაქტზე - რადგან, ამ დროს ხელს უწყობთ მის შემდგომ გავრცელებასაც.

თომას ჰობსი წერდა: კორუფცია "არის ფესვი, რომელიც არსებობს ყველგან და ყოველთვის და უგულვებელყოფს კანონს ნებისმიერ დროს, ყველა სახის ცდუნებასთან ერთად."

ვინ არის კორუფციონერი?

ამ კითხვაზე ამჟამად, კანონმდებელი კორუფციის დანაშაულში სხვადასხვა დანაშაულს ადგენს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და სოციალურად საშიში არის მექრთამეობა. კორუმპირებულობა - ზოგადად ფულით ან სხვა მატერიალური სიკეთით ვინმეს მოსყიდვას ნიშნავს.¹³ კორუფციის მონაწილეთა გათვალისწინებით, ქრთამის მაგალითზე, აღსანიშნავია, რომ კორუფციის პროცესში ყოველთვის ჩართულია ორი მხარე. ერთი მხარე არის ქრთამის ამღები. მეორე მხარე ქრთამის

¹³ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის, ი. (2008). *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში*. თბილისი: გვ.257.

მიმცემი. ასევე მესამე მხარეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროცესში - ეს არის შუამავალი.

ქრთამის მიმცემი - არის ის პირი, რომელიც უზრუნველყოფს ქრთამის მიცემას და სთვამობს გარკვეულ სარგებელს, იმის სანაცვლოდ, რომ გამოიყენოს იმ პირის უფლებამოსილება საკუთარი მიზნებისათვის. სარგებელი შეიძლება იყოს ფულადი თანხა, სიმდიდრე, მომსახურება, და სხვა.

ქრთამის ამღები - შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, კერძო ფირმის თანამშრომელი, სახელმწიფო ან მუნიციპალური თანამშრომელი, რომელიც მის უფლებამოსილებას დაინტერესებულ პირებს "ჰყიდის". მისგან შეიძლება ველოდოთ გარკვეული მოქმედების შესრულებას, ისევე როგორც მისი შეუსრულებლობას, ინფორმაციის გაცემა არ გაცემას და ა.შ. ამავდროულად, მის კომპეტენციაში შედის შეასრულოს მოთხოვნები დამოუკიდებლად ან ხელი შეუწყოს სხვის მიერ მოთხოვნის შესრულებას, თავისი პოზიციის, გავლენისა და ძალის გამოყენებით.

შუამავალი - არის ერთ-ერთი მხარის რწმუნებული, რომელიც მხარეებს შორის მოლაპარაკებებს აწარმოებს, ანუ შუამავლის ფუნქციებს ასრულებს. შუამავალი მოქმედებს ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამღების მითითებით, მათი სახელით ასრულებს ძირითადად ტექნიკურ დავალებას. მისი როლი შემოიფარგლება იმით, რომ ის ეხმარება მათ გააცნობიერონ ის განზრახვა, რომელიც წარმოიშვათ ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამღების დროს, დანაშაულის ჩასადენად.

1.3 კორუფციის ფორმები და სახეები

კორუფციის სახეები

კორუფცია საკმაოდ რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა და არ გააჩნია ერთი ზოგადად მიღებული განმარტება. საქმიანობის ფორმის მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ კორუფციის შემდეგი სახეები ესენია :

- ა) კორუფცია სახელმწიფო მართვის სფეროში
- ბ) საპარლამენტო კორუფცია
- გ) კორუფცია წარმოებებში

კორუფციას სახელმწიფო მართვის სფეროში, განაპირობებს სახელმწიფო თანამდებობის პირის უფლებას განკარგოს სახელმწიფო რესურსები, და აქვს შესაძლებლობა იმისა რომ მიიღოს გადაწყვეტილებები არა საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ინტერესებიდან არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სახელმწიფო მოსამსახურეთ იერარქიული მდგომარეობის მიხედვით კორუფცია შეიძლება დაიწყოს მაღლ და დაბალთანამდებობრივი მოსამსახურეების კორუფციად. მეცნიერთა და სპეციალისტთა უმრავლესო კორუფციას ასევე მიაკუთნებს ამომრჩველთ ხმების მოსყიდვას არჩევნების დროს. აღნიშნული განეკუთნება საპარლამენტო კატეგორიის კორუფციას, ხოლო ბოლოს კორუფცია წარმოებებში გულისხმობს, არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს. (ორგანიზაციის (კომერციულია თუ საზოგადოებრივი) თანამშრომელი შიძება განაგებდეს გარკვეულ რესურსებს რომელიც მას არ ეკუთნის და უკანონოდ გამდიდრდეს იმ ქმედებათ მეშვეობით, რომლებიც არღვევენ მოცემული ორგანიზაციის ინტერესებს მეორე მხარის სასარგებლოდ. კორუფციის, როგორც საგნის და კორუფციის შინაარსის გათვალისწინება სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ფენომენის სახით შესაძლებელია მისი კლასიფიკაციის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ კორუფციის საგნის სუბიექტურ-ობიექტური კომბინაციის ვარიანტები მრავალრიცხოვანია. აქედან გამომდინარე, ძნელია, რომ კორუფციის უნივერსალური განსაზღვრა შემუშავდეს, მაგრამ, ასევე რთულია განისაზღვროს მისი კლასიფიკაციის კრიტერიუმები. მეტად რთული კლასიფიკაცია წარმოადგინა მ. ჯონსტონმა. მან განსაზღვრა რამდენიმე ტიპის კორუფცია: ა)ვაჭრობის სფეროში მოღვაწე თანამდებობის პირების მიერ ქრთმის აღება (უკანონოდ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის, საქონლის ხარისხის გადაჭარბებისთვის და ა.შ. ბ) ურთიერთობები პატრონაჟულ სისტემებში, მათ შორის, "ავტორიტეტების" პატრონაჟი, თანამემამულის, ნათესავებისა და პარტიის პრინციპების საფუძველზე გ) მეგობრობა და ნეპოტიზმი და ასევე ე.წ. კრიზისული კორუფცია, რა დროსაც, მენარმეები უკიდურესი რისკის პირობებში იძულებით მუშაობენ, ეს ხდება, მაშინ როდესაც ხელისუფლების გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის და გადაწყვეტილი მათ სასარგებლოდ და არა საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ კლასიფიკაციის მიხედვით კორუფციის ყველაზე გავრცელებული სახეობებია: ქრთმის აღება და ქრთმის მიცემა, "ქვედა" და "ზედა" კორუფცია, კორუფცია სახელმწიფო (მუნიციპალური) და არასახელმწიფო სექტორებში.

მას შემდეგ, რაც კორუფცია გამოხატულია ადამიანური საქმიანობის ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა და ეკონომიკა, აშკარაა, რომ

კორუფციის ისეთი ტიპის განხილვა , როგორც არის პოლიტიკური და ეკონომიკური, კორუფცია, იქნება ლეგიტიმური. განსაკუთრებით გამოირჩევა პოლიტიკური კორუფცია. ყველა ექსპერტები, რომლებიც კორუფციას შეისწავლის, პოლიტიკურ კორუფციას მიანერენ არჩევნების დროს ხმების მოსყიდვას. ამრიგად, ჩვენს მეცნიერებაში, ისევე როგორც უცხოეთში, გამოირჩევა პოლიტიკური კორუფციის შემდეგი ნიშნები: ა) აშკარა უსამართლობის არსებობა; ბ) მიზანი იმისა, რომ ჩაებლაუჭონ თანამდებობის სკამებს, გაუფრთხილდნენ გააძლიერონ და ჩაიდინონ ყველანაირი უკანონობა , რათა არ დაკარგონ ე.წ „სკამი” იქნება ეს ფიზიკური პირი თუ სხვადასხვა ჯგუფები პარტიები და ა.შ გ) და ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო და საჯარო რესურსების გამოყენება.

კორუფციის კიდევ ერთი სახეობა ეკონომიკური კორუფციაა. ეკონომიკური კორუფცია გულისხმობს მოსყიდვას (მიღება, დაპირება, შეთავაზება, მიცემა ან გამოძღვას , ნებისმიერი სხვა უკანონო მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია თავის საჯარო სტატუსთან დაკავშირებულია ასევე სარგებლის მიღებასთან (საკუთრება, მომსახურება ან სარგებელი , მათ შორის, არაპროფესიონალური) .

ეკონომიკური კორუფციის ამგვარი განმარტებადან გამომდინარე, ის მიუთითებს, რომ ამ სფეროში ყველაზე გავრცელებული კორუფციული დანაშაულია:

- ა) კომერციული მოსყიდვა
- ბ) ქრთამის აღება
- გ) ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია

ეკონომიკური კორუფციის სპეციფიკა ასევე არის ის, რომ მნიშვნელოვანი მასობრივი უკანონოქმედებები უკავშირდება ძალაუფლების გამოყენებას ფინანსური ნაკადების კონტროლისა და განაწილების სფეროს. კორუფციის ასეთ სახეობას ასევე "კორუფცილ მომსახურებასაც" უწოდებენ ფართო გაგებით. ამდენად, ხდება ენერგორესურსების "გაყიდვა", ისევე როგორც სხვა რესურსების მოპოვების მიზნით ენერჯის რესურსის გამოყენება, რაც განსაზღვრავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კორუფციას შორის მჭიდრო ურთიერთობას.

კვლევებმა აჩვენა, რომ კორუფცია სახელმწიფო და მუნიციპალურ სფეროში განუვითარებელ და განვითარებულ ქვეყნებში ერთი და იმავე ფორმებს მოიცავს და და ერთ სფეროს ემსახურება. ამავე დროს, კორუფციის მიმართ ყველაზე მეტად მგრძობიარე საქმიანობის სფეროა:

- ა) სახელმწიფო შესყიდვები;

ბ) მიწის ოპერაციები;

გ) საგადასახადო კრებული;

დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირების დანიშვნა სახელმწიფო ორგანოებში;

ე) ადგილობრივი მთავრობა.

ამ ტიპის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ე.წ. „პერსონალური“ (კადრების) კორუფცია. კორუფციის ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად და იგი უფრო და უფრო დიდი მოცულობით შეიძლება გახდეს შემდგომი კვლევის საფუძველი. გარდა ამისა, თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სულიერ-იდეოლოგიურ სიტუაციებში მუდმივად ცვლილებების პირობებში შეიძლება კორუფციის ახალი ფორმები გამოჩნდეს თანამედროვე საზოგადოებაში. ეს გულისხმობს სახელმწიფოს უწყვეტი მონიტორინგის აუცილებლობას და ამ ფენომენის მიმართ ეფექტიანი ანტიკორუფციული ზომების მიღებას.

კორუფციის ფორმები

მექრთამეობა

მექრთამეობა - კორუფციის ერთ-ერთი უძველესი და მეტად გავრცელებული ფორმაა. იგი თითქმის ყველა ქვეყანის კანონმდებლობაში განიხილება, როგორც ანგარებითი სამსახურეობრივი დანაშული, როგორც სამსახურეობრივი ვალდებულებების დარღვევის ერთ-ერთი სახეობა.¹⁴ ქრთამი არ არის მხოლოდ ფულადი თანხა, არამედ სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები. ქრთამი შეიძლება იყოს: საქონელი, მათ შორის ვალუტა, საბანკო ჩეკები და ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, მანქანები, საკვები, ვიდეო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა პროდუქტები, ბინები, აგარაკები, ავტოფარეხები, მიწა და სხვა უძრავი ქონება, მომსახურება და სარგებელი - მკურნალობა, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები და ა.შ.

სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

¹⁴ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის, ი. (2008). *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში*. თბილისი: გვ.260.

იმგვარი გადანყვეტილების მიღება ან ასეთი ქმედების ჩადენა , რომელიც რაიმე უპირატესობას ანიჭებს გადანყვეტილების მიმღებს, მის ახლო ნათესავს ან მესამე მხარეს. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებამ შეიძლება სხვადასხვაგვარი ფორმა მიიღოს ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, საზოგადოებრივი რესურსების გამოყენება, ნდობის ბოროტად გამოყენება და ა.შ. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინაპირობა ისაა, რომ თანამდებობის პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი ქმედება, ან არ შეასრულოს თავისი ვალდებულება, გასცდეს თვის კომპეტენციას, ან გამოიყენოს იგი დისკრეციული წესების დარღვევით.

საჯარო სახსრების გამოყენება

საჯარო სახსრების გამოყენება - არის საჯარო მოსამსახურისათვის მინდობილი, მატერიალური ან სხვა რესურსების გამოყენება, თავად ამ თანამდებობის პირის ან მესამე პირის ინტერესებიდან გამომდინარე სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით. მაგალითად, პირად მიზნებისთვის მანქანის გამოყენება შემოსავლის მისაღებად, და ასევე ქვემდგომი პერსონალის გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის.

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი - ნიშნავს თანამდებობის პირის, სამსახურებრივი მოვალეობების და პირადი ინტერესების შეწინააღმდეგებას , რომლებშიც პირადი ინტერესმა შეიძლება გავლენა მოახდინოს და გადათაროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ინტერესთა კონფლიქტი ერთი შეხედვით არ არის კორუფცია , მაგრამ ეს არის სიტუაცია, რომელსაც შეუძლია კორუფცია გამოიწვიოს. ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოშობის რისკის შესამცირებლად, კონფლიქტის პრევენცია ხდება ქმედებების შეზღუდვით, ინტერესების ჩაფარცხვით, ეთიკის კოდექსით, დამოუკიდებელი კომისიებით და ა.შ.

ხმების მოსყიდვა

ხმების მოსყიდვა მეტად აქტუალურია , უპირველეს ყოვლისა, საარჩევნო პერიოდში, როდესაც კანდიდატები ჰპირდებიან სამსახურს, საჩუქრებს და სხავდასხვა სახის სარგებელს იმის საპასუხოდ, რომ ისინი მას არჩევნებზე ხმას მისცემენ.

თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს თანამდებობის პირთ ისეთი ქმედებები, რომლის დროსაც ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით, ხდება სხვისი ქონების პირადად მითვისება ან მესამე პირის საკუთრებაში მისი უკანონო გადაცემა, ღირებულების ანაზღაურების გარეშე. თანამდებობის პირის უფლებამოსილებათ ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოვლინდეს პირის სწრაფვაში მიიღოს არაქონებრივი სარგებელი, ნაკარნახევი ისეთი ქვენაგრძობით, როგორცაა კარიერაში, პროტექციონიზმი, შურისძიება, საკუთარი არაკომპეტენტურობის მიჩქმალვა, რაიმე საკითხის გადაწყვეტისას მხარდაჭერის მოპოვება და ა.შ.¹⁵

პოლიტიკური ნეპოტიზმი

პოლიტიკური ნეპოტიზმის დროს ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, მაგალითად, როდესაც ხდება პირის ახლონათესავების ან ახლობლების სამსახურში მიღება. ეს გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც ადამიანი იწყებს სამუშაოს არა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არამედ „ნაცნობობის“ (ნეპოტიზმის) საფუძველზე.

პარტიების ფარული ფინანსური მხარდაჭერა

პარტიების ფარული ფინანსური მხარდაჭერა - კერძო პირების მიერ მათ მხარდაჭერას, რომლებიც საპასუხოდ შემდგომ იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კერძო პირს ჩაყენებს მომგებიან სიტუაციაში. იქნება ეს მის სასარგებლოდ კანონში ცვლილებების შეტანა თუ სხვა რამ.

2. კორუფციული დანაშაულის წარმომქმნელი

¹⁵ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის, ი. (2008). *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში*. თბილისი: გვ.264.

2.1 კორუფციული დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორები

კორუფცია ერთმანეთისაგან განსხვავდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ამიტომ კრიმინოგენოლოგები, შეისწავლიან მას, განიხილავენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ზომებს. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სატრანზიტო პერიოდში სახელმწიფო დიდი კორუფციის რისკი ქვეშ დგას.

საქართველო, როგორც ქვეყანა ფართო ბუნებრივი რესურსებით და დამოუკიდებლობის შედარებით მოკლე პერიოდით, საქართველოში კორუფციის სხვადასხვა ფორმის გამოვლინებას აქვს ადგილი. ეს განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

პოლიტიკური ფაქტორები: დახურული პოლიტიკური სისტემა, დისბალანსი მთავრობის ორგანოებს შორის, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარება და არასაკმარისი მექანიზმები ძალაუფლების შეზღუდვისათვის.

ადმინისტრაციული ფაქტორები: სახელმწიფო სტრუქტურების ჩაკეტილობის მაღალი დონე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის სისტემის გადაჭარბებული ბიუროკრატიზაცია ამკრძალავი ნორმების დიდი რაოდენობა და სახელმწიფო მოხელეების შეზღუდული შესაძლებლობები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოებისა და მოქალაქეების საქმიანობაზე, არაეფექტური პერსონალის (კადრების) პოლიტიკა, სახელმწიფო ძალაუფლებისა და კონტროლის სისტემის კომერციალიზაცია (ძალაუფლებისა და ბიზნესის შერწყმა), სახელმწიფო კონტროლისა და შიდა კონტროლის მექანიზმების არაეფექტურობა.

სამართლებრივი ფაქტორები: იურიდიული ნიჰილიზმი საზოგადოების ცნობიერებაში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, არასრულყოფილი კანონმდებლობა, კანონმდებლობის გამჭვირვალობის ნაკლებობა, ლობირების საკანონმდებლო რეგულირების ნაკლებობა.

სოციალური ფაქტორები: მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სიღარიბე, მოსახლეობის განათლების დონე, სახელმწიფოს უუნარობა, უზრუნველყოფის საჯარო მოსამსახურეთა ღირსეული ცოდნის ამაღლება, რაც გამოიწვევს ეფექტურ მუშაობისთვის მოტივირებული კადრების წინა პლანზე წამოწევას.

ეკონომიკური ფაქტორები: ეკონომიკური შესაძლებლობების უთანასწორობა, ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ფინანსური და საკრედიტო სისტემების ნაკლებობა, დარღვევები ქონების პრივატიზების სფეროში, არაეფექტური საგადასახადო და საბაჟო სისტემა, საქმიანობის ეფექტიანი სისტემის ნაკლებობა.

სოციალურ-კულტურული ფაქტორები: საზოგადოების მორალური მდგრადობის გაუარესება, სამართლებრივი ნიჰილიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე, განათლების ხარისხის გაუარესება, საზოგადოების პატრიარქალურ-ტრადიციული პოლიტიკური კულტურის შენარჩუნება, მოქალაქეების ინფორმირებისა ნაკლებობა.

გარე ფაქტორები: გეოპოლიტიკური პოზიცია, ტერიტორიული ადგილმდებარეობა, მოგვეხსენებათ რომ საქართველოს მეზობელი ქვეყნები არიან ის ქვეყნები, რომლებიც ჩარჩენილნი არიან საბჭოურ ეპოქაში, შესაბამისად, რათქმა უნდა გარე ფაქტორებიდან მომდინარე პრობლემები საკმაოდ ბევრია.

ეს ფაქტორები აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, ისინი დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ინსტიტუციონალურ და ეკონომიკურ მემკვიდრეობასთან. საბჭოთა კავშირში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ვერ ვითარდებოდა და სრულად კონტროლ ქვეშ იყო კომუნისტური პარტიის მიერ, სწორედ ამ ყველაფერმა შეუწყო ხელი კორუფციის განვითარების პროცესს საქართველოში.

კორუფციული დანაშულის ხელშემწყობი პირობები (პრობლემები)

როგორც უკვე აღინიშნა, კორუფციის ინსტიტუციონალური მიზეზების გააზრება შედარებით ცოტა ხნის წინ დაიწყო. ჩვენ ასევე ავლნიშნეთ, რომ კორუფცია კომპლექსური, მრავალმხრივი ფენომენია. აქედან გამომდინარე, არსებობს ასევე კორუფციის შესაძლო მიზეზები, რომელიც უბიძგებს ადამიანს ჩიდინოს კორუფციული დანაშული .

საერთო პრობლემები

კორუფცია, მისი მასშტაბი, სპეციფიურობა და დინამიკა ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შედეგია. როგორც უკვე აღინიშნა, კორუფცია ყოველთვის იზრდება, როდესაც ქვეყანა მოდერნიზაციის ეტაპზეა. საქართველო ახლა არა მხოლოდ მოდერნიზმს განიცდის, არამედ ფუნდამენტურ ცვლილებას სოციალურ, სახელმწიფო, ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობაში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საჭიროა კანონმდებლობის მეტად განვითარება. კორუფციის გამომწვევი საერთო პრობლემა, დამახასიათებელია არა მარტო საქართველოში, არამედ იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც მოდერნიზაციის პროცესშია, უპირველეს ყოვლისა განიცდიან გარდამავალ პერიოდს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

ეს პრობლემებია :

ტოტალიტარული პერიოდის მემკვიდრეობის დაძლევის სირთულეები

ნება და მთავრობის კოორდინირებული მოქმედება. ბოლოს წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიცია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგში. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო მმართველობის სისტემისა და კორუფციისაგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად საქართველოში გატარებული მთავრობის კომპლექსური პოლიტიკა და თამამი ნაბიჯები წარმატებული და შედეგიანი იყო. კერძოდ, განვითარდა სახელმწიფო შესყიდვების სფერო, გაიზარდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა, გარდაიქმნა საჯარო სერვისების მიწოდების სფერო, გაუმჯობესდა საჯარო ფინანსების სისტემა, განვითარდა საბაჟო და საგადასახადო სფერო, გაიზარდა საჯარო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი და საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების ნდობა.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი. კორუფციის პრევენცია საჭიროებს მუდმივ და განგრძობად ძალისხმევას კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის, ასევე საზოგადოების მენტალურ და კულტურულ ტრანსფორმაციას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ისეთი სირთულეები, როგორცაა ადმინისტრაციული კორუფციის მაღალი დონე, სუსტი სახელმწიფო მმართველობა, ადმინისტრაციული ბარიერები და არაეფექტური სამართლებრივი სისტემა, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად ანტიკორუფციული დღის წესრიგის მთავარ ამოცანას აღარ წარმოადგენს. მიღწეული შედეგების გათვალისწინებით საქართველო გადავიდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე და ისევე როგორც ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის, ქვეყნის მთავარი ორიენტირია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონის მიღწევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, კორუფციის პრევენციის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწა და სახელმწიფო მმართველობაში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება. ამასთან, საქართველოს მთავრობის ხედვით ანტიკორუფციული პოლიტიკის ორიენტირი კვლავ პრევენციულ ღონისძიებებზე უნდა იყოს და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია ქვეყნის წინაშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისა და კორუფციული რისკების შემცირებისაკენ უნდა იყოს მიმართული. კორუფციის პრევენცია და ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებათა ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ევროინტეგრაციის გზაზე. საქართველო-ევროკავშირის

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით და რატიფიკაციით საქართველომ აიღო ვალდებულება განაგრძოს საჯარო მმართველობის რეფორმა და შექმნას ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახური; გააგრძელოს ეფექტიანი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით, და უზრუნველყოს შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების, როგორცაა *კორუფციის წინააღმდეგ ვაეროს 2003 წლის კონვენციის* (UNCAC) ეფექტიანი იმპლემენტაცია.

საქართველოს მთვრობის მიზანია ეფექტიანი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, მაღალ ხარისხზე ორიენტირებული, პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის შექმნა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კორუფციული რისკების მინიმუმამდე შემცირებას და საზოგადოებაში საჯარო სამსახურის მიმართ ნდობის ხარისხის გაზრდას.

არსებული მდგომარეობის მიხედვით ბოლო წლებში საჯარო სამსახურის მოდერნიზაციის, დახვეწისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად გააუმჯობესა სისტემის ფუნქციონირება. შემუშავდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო საჯარო სამსახურში ღია კონკურსის საფუძველზე თანამშრომელთა აყვანას, გამარტივდა კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის გაკეთების პროცესი; ასევე შექმნა საჯარო სამსახურის დასაქმების პორტალი www.hr.gov.ge, დაინერგა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული სისტემა - www.declaration.gov.ge, რომელმაც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯილდო კატეგორიაში „კორუფციის პრევენცია და დამარცხება საჯარო სამსახურში“ და სხვ. საყურადღებოა, რომ 2014 წელს შემუშავდა და დამტკიცდა *საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია*, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურს რეფორმის პრიორიტეტებსა და ამ რეფორმის ძირითად მიმართულებებს. კონცეფციის გათვალისწინებით და საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით მომდევნო წლებში მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, კერძოდ, *საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის შემუშავება* და *საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის გადასინჯვა*. ამასთან, ყურადღება უნდა დაეთმოს საჯარო სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული ნათელი და მკაფიო რეგულაციების ჩამოყალიბებას, სამართლიანი და გამჭვირვალე *ანაზღაურების სისტემის შექმნა* საჯარო მოხელეთა შერჩევის, მათი

მეთვასებისა და კარიერული წინსვლის ერთიანი წესებისა და საჯარო მოსამსახურეთა დისციპლინური წარმოების წესების დახვეწას და პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას. ცალკე უნდა აღინიშნოს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების საჭიროება. მიზანშეწონილია ასევე ქონებრივი დეკლარაციების სისტემის სახელმწიფო შესყიდვებისა და საჯარო რეესტრის ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სრულყოფილი მონიტორინგის პროცესს, კერძოდ, დეკლარაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადგენას, უკანონო წყაროებიდან მიღებული შემოსავლების გამოვლენასა და შესაძლო შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის გამოამჟღავნებას.

მიზანშეწონილია ასევე საჯარო სექტორში მამხილებელთა დაცვის პრაქტიკაში იმპლემენტაციის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და არსებული რეგულაციების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის ბიუროს როლისა და მისი უფლებამოსილების გაძლიერება, რათა მან უზრუნველყოს საჯარო მმართველობის ადმინისტრაციული და საკანონმდებლო პოლიტიკის შემდგომი განვითარება და დახვეწა, ეფექტიანი საჯარო მმართველობის პრინციპების დანერგვა, საჯარო სამსახურში პროფესიული და სამართლებრივი სტანდარტების შესრულების მონიტორინგი, ეთიკის ერთიანი ნორმების შემუშავება და აღსრულება, ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის საკითხებში საჯარო მოხელეთა ცნობიერებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

5.2 კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით

საქართველოს მთავრობის მიზანია კერძო სექტორში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კორპორაციული მართვის გამჭვირვალე პრინციპების დამკვიდრება, ბიზნესის კეთილსინდისიერების თანამედროვე მექანიზმების წახალისებით კორუფციული რისკების შემცირება, რაც თავის მხრივ, დაეხმარება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საინვესტიციო გარემო და რეგულირების მინიმუმამდე დაყვანიტა და ელექტრონული სერვისების დანერგვის გზით მარტივი გახადა ბიზნესის კეთება საქართველოში. კორუფციისაგან თავისუფალი

გარემოს შესაქმნელად საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები წარმატებული და შედეგიანი იყო, რაც ასევე აისახა კერძო სექტორის ფუნქციონირებასა და ანტიკორუფციულ რეიტინგებში. როგორც სტრატეგიის შესავალში აღინიშნა, “Trace International”-ის 2014 წლის კორუფციული რისკები ბიზნესისთვის ინდექსის მიხედვით, საქართველო მე-11 ადგილს იკავებს მსოფლიოს 197 ქვეყანას შორის და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია, საფრანგეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და ავსტრია. საქართველოსთვის ყველაზე დაბალ კორუფციულ რისკად არის შეფასებული ბიზნესის და მთავრობის ურთიერთობის, ასევე სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობის კომპონენტები. ამასთან, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) 2015 წლის ანგარიშის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით საქართველო პირველ ადგილზეა ქონების რეგისტრაციის, მესამე ადგილზე სამშენებლო ნებართვების გაცემის, მეხუთე ადგილზე ბიზნესის დაწყების და მეშვიდე ადგილზე კრედიტის აღების კუთხით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ბიზნესის კეთების პრობლემურ ფაქტორებს შორის კორუფციის მაჩვენებელი მხოლოდ 0.1 ერთეულს უდრის, ხოლო მსოფლიო ბანკის 2013 წლის საწარმოების კვლევის თანახმად, გამოკითხულ საწარმოთა წარმომადგენლების მხოლოდ 2.9% ასახელებს კორუფციას, როგორც ერთ-ერთ პრობლემას და გამოკითხულთა მხოლოდ 0.2% თვლის, რომ ქრთამის მიცემა საჭიროა საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას. ლიცენზიების ამღებ მენარმეთა შორის კორუფციის აღქმის ნულოვანი მაჩვენებელია. პირისთვის ქრთამი მიცემული ჰქონდა გამოკითხულთა მხოლოდ 2.2%-ს მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელი 17.2%-ს, ხოლო მსოფლიო მაჩვენებელი - 17.1%-ს უტოლდება. მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ქვეყანაში კორპორაციული მართვის გამჭვირვალე პრინციპებისა და ეთიკის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა, ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების შესწავლა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ბიზნესის კეთილსინდისიერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ასევე კორუფციულ რისკებთან დაკავშირებით კომპანიებისა და სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარება მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. გარდა ამისა, სამომავლო პრიორიტეტად დასახულ უნდა იქნეს შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შემცირება/გასხვისება მათი შემდგომი გააქტიურებისა და სახელმწიფოს მხრიდან არამიზნობრივი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით. მნიშვნელოვანია ასევე პრიორიტეტულად განისაზღვროს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ანტიკორუფციული

პოლიტიკის დაგეგმვის ხელშეწყობა და იმპლემენტაცია. ამასთან, პრიორიტეტულია საწარმოების ანგარიშგების პროცესის სრულყოფა და არსებული ანგარიშების დახვეწა, ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოებში ეთიკის მარეგულირებელი წესებისა და თვითშეფასების კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის დანერგვას. მნიშვნელოვანია აგრეთვე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება მისი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის გზით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კორუფციის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით სათანადო მექანიზმების დანერგვის უზრუნველსაყოფად. 2010 წელს დამტკიცებულ საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში კერძო სექტორთან მიმართებით აქცენტი იყო გაკეთებული კონკურენციის განვითარებაზე, პრივატიზების გამარტივებული და გამჭვირვალე პროცესის შექმნაზე, ფასიანი ქაღალდების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და კომერციული ბანკების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაზე. შესაბამისად, წინა წლების სტრატეგიას არ ჰქონდა ვიწრო ანტიკორუფციული ფოკუსი, ხოლო წინამდებარე სტრატეგიის ფოკუსი კი სწორედ ვიწრო ანტიკორუფციული ამოცანები და მიზნებია. კერძო სექტორის კონკურენციის განვითარებასა და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს, მათ შორის საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტექნოლოგიების განვითარებას სახელმწიფოს სხვა სტრატეგიული დოკუმენტები ეძღვნება. შესაბამისად, ანტიკორუფციული სტრატეგიის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ბიზნესის კეთილსინდისიერების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით თანამედროვე ტენდენციების შესწავლასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ანტიკორუფციული და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად. რაც შეეხება, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზეგავლენის საკითხებს, შესაბამის პრიორიტეტულ სფეროებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების გაძლიერებას, რეგულირების მინიმუმირებას, დისკრეციის დაბალი ხარისხის უზრუნველყოფასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების განვითარებას წინამდებარე სტრატეგიის ცალკეული თავები ეხება.

5.3 პოლიტიკური კორუფციის პრევენცია

საქართველოს მთვრობის მიზანია პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის მიღწევა, კორუფციული პრაქტიკის მინიმუმადე დაყვანა.

არსებული მდგომარეობა გვიჩენებს, რომ პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალე სისტემა დემოკრატიული სტანდარტების მქონე, ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის წინაპირობაა, რის მიღწევაც შეუძლებელია კორუფციული რისკების არსებობის შემთხვევაში. ბოლო წლებში პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მონიტორინგისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და დაფინანსების მონიტორინგის პრაქტიკის დახვეწა, პოზიტიურად იქნა შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფარგლებში ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის შექმნასა და შესაბამისი უფლებამოსილებით მის აღჭურვას, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტული დეკლარაციების ფორმებისა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე 2013-2014 წლებში იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის ძალისხმევას საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების თვალსაზრისით. არსებული ვითარების გათვალისწინებით, პოლიტიკური კორუფციის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის განვითარება. მნიშვნელოვან ამოცანად რჩება პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა საერთაშორისო ორგანიზაციების (GRECO, OECD-ACN) რეკომენდაციების გათვალისწინებით. საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის შექმნა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, სამსახურის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ხარისხის გაზრდისა და საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების ერთგვაროვანი და პროპორციული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, მუშაობა უნდა გაგრძელდეს პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობაზე დამისი

სათანადო რესურსებით აღჭურვაზე. ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის დახვეწას, ასევე ხარჯების გამჭვირვალობის გამზდასა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას არსებული მექანიზმების განვითარებისა და ფინანსური ანგარიშების პროაქტიული გამოქვეყნების გზით. აღნიშნულ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც ფართო საზოგადოების, ისე სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა. ყურადღებას საჭიროებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით GRECO-ს რეკომენდაციების შესრულება. კერძოდ, მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციის მექანიზმის შემდგომი განვითარება რეკომენდაციების შემუშავების, გამოძიებისა და შესაბამისი საჩუქების გამოყენების კუთხით.

5.4 კორუფციის კრიმინალიზაცია, როგორც პრევენცია

საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის შეფასებისას, საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებს. OECD-სა და GRECO-ს შეფასების ანგარიშებში არაერთ ნორმატიულ პრობლემაზეა გამახვილებული ყურადღება. საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს კორუფციის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების არსებობას, განსაკუთრებით სუსტია კონტროლის მექანიზმები. OECD-ს მიერ შემუშავებული ანგარიშის მე-5 რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო აქტებს, მათ შორის: ევროპის საბჭოს კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციას, კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციებში უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა მექრთამეობის წინააღმდეგ“ კონვენციის დებულებებს. აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებს დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სახის დარღვევების არსებული სისტემის გადახედვას, სისხლის სამართლის კოდექსსა და მასთან დაკავშირებულ აქტებს შორის არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, ასევე მექრთამეობისა და სხვა კორუფციული მოქმედებების კრიმინალიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, იურიდიული

პირების პასუხისმგებლობის შემოღებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. OECD-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გარდა, ასევე ანტიკორუფციული კანონმდებლობის დახვეწას ეხება GRECO-ს მეორე შეფასებითი რაუნდის შედეგად შემუშავებული დამატებითი რეკომენდაციები და თავად საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა.

საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ევროპის საბჭოს „სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე“, მექრთამეობის სახეებს შორის გამოყოფს აქტიურ და პასიურ მექრთამეობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2006 წლის 25 ივლისის ცვლილებამდე თავისი არსით მხოლოდ აქტიურ მექრთამეობას განიხილავდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად. რაც შეეხება პასიურ მექრთამეობას, აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული, შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი მოაზრება სსიკ-ს მე-19 მუხლით განსაზღვრული „დანაშაულის მცდელობის“ ქვეშ. ამრიგად, პასიური მექრთამეობა სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ არ იყო განსაზღვრული როგორც დასჯადი ქმედება. 2006 წლის 25 ივლისის ცვლილებებით შეიცვალა მექრთამეობასთან დაკავშირებული მუხლები და სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან, დანაშაულად იქნა მიჩნეული როგორც აქტიური, ისე პასიური მექრთამეობა. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

მუხლი 338. ქრთამის აღება

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ, ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა“.²¹

²¹ “სისხლის სამართლის კოდექსი”

აღნიშნული ქმედების ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა გაიზარდა მინიმუმ 5 წლით თავისუფლების აღკვეთიდან ვადით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 339. ქრთამის მიცემა

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ან ნალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მთავრელობა²². აქტიური და პასიური მექრთამეობის გათვალისწინებასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა „ზეგავლენით ვაჭრობის“ ცნება. გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია“ ითვალისწინებს „კორუფციული ზეგავლენის“ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. კონვენციის მე-18 მუხლით დადგენილია, რომ მონაწილე სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცალკე მუხლად დაწესდეს პასუხისმგებლობა ანგარების მიზნით თანამდებობის პირის ან მასთან გათანაბრებული სხვა პირის მიერ ზეგავლენის ბოროტად გამოყენებისათვის, ანუ კორუფციული ზეგავლენისათვის.²³ აღნიშნული მუხლის შესაბამისად, აუცილებელია განზრახ დანაშაულად გამოცხადდეს ქმედება, რომელიც გამოვლინდება საჯარო თანამდებობის პირისათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით დაპირების მიცემაში, შეთავაზებასა ან გადაცემაში რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ საჩუქრის აღების ფაქტების გამოვლენა და მასზე მონიტორინგის დაწესება, ფაქტობრივად, გამორიცხულია, ვინაიდან კანონით არ არსებობს საჩუქრის აღების ადმინისტრირების მექანიზმი. საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის პროექტში, რომელიც განსახილველად წარდგენილი, მოცემულია გარკვეული სიახლეები უკანონო საჩუქართან დაკავშირებით, შემოთავაზებულია აკრძალვა კანონით აკრძალული საჩუქრის აღებასთან დაკავშირებით არა მხოლოდ თანამდებობის პირებისათვის, არამედ ყველა საჯარო მოსამსახურისათვის, ამასთან

²² „სისხლის სამართლის კოდექსი“

²³ „კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ“

იცვლება საჩუქრის ცნება და მისი განმარტებისას ამოსავალი ხდება „ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა“.

კანონპროექტში ასახული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, მაინც შეუძლებლად რჩება კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა. ამ მიმართულებით მთავარ პრობლემას წარმოადგენს შიდა კონტროლის მექანიზმების არარსებობა. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობის ვალდებულებას, ამასთან, არ არსებობს ერთიანი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანო, რომელიც ეფექტიანად გაუწევდა ზედამხედველობას კორუფციასთან ბრძოლას. აღნიშნულ პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტების გამოვლენა და დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემა. სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული „მოხელის“ ცნება ყველასაჯარო მოხელესთან მიმართებით უნდა მოიაზრებოდეს, მათ შორის აღმასრულებელი, საკანონმდებლო და მართლმსაჯულების შტოებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან და აიმ პირებთან მიმართებით, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს ინტერესებს კომერციულ კომპანებში.

„თანამდებობის პირის“ განმარტება საერთაშორისო სტანდარტებით, მათ შორის, გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენციით გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2007 წლის 4 ივლისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებიც იგულისხმება „თანამდებობის პირის“ ცნებაში. კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე პუნქტის თანახმად, თანამდებობის პირის ცნებაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზნებისათვის იგულისხმებიან თანამდებობის პირები, საჯარო მოხელეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელები და მოადგილეები, ასევე სახელწიფოს 50%-25-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები. თუმცა, წარმოიშვა ტერმინთა კონფლიქტი: ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს „მოხელის“

ცნება, რომელიც საკმაოდ ვიწროა და მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობს „თანამდებობის პირის“ ცნება, რომელიც მოხელეების გარდა აერთიანებს თანამდებობის პირებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებსა და მოადგილეებს, ასევე სახელმწიფოს 50%25-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს. აღნიშნული ტერმინოლოგიური გაორების შედეგად გაურკვეველი რჩება, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული მოხელის ცნების გაიგივება უნდა მოხდეს თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ „თანამდებობის პირთან“, თუ აქ კანონი უფრო ვიწრო პირთა წრეს ითვალისწინებს. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზნებისათვის მოხელის ცნებაში არც ერთ შემთხვევაში არ იგულისხმება შტატგარეშე მოსამსახურე, რომელიც კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ფუნქციას ასრულებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამრიგად, გარკვეული ბუნდოვანება და შეუსაბამობა «მოხელის» ცნებასთან დაკავშირებით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, კვლავაც აქტუალურია. შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე და გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია“ ითვალისწინებს ისეთ ცნებას, როგორცაა „უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირი“, ანუ „ნებისმიერი დანიშნული ან არჩეული პირი, რომელსაც უკავია სხვა სახელმწიფო საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოში რაიმე თანამდებობა და ნებისმიერი პირი, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსათვის, მათ შორის, საჯარო უწყებისათვის ან საჯარო წარმოებისათვის“ და „საერთაშორისო ორგანიზაციის საჯარო თანამდებობის პირი“, ანუ „საერთაშორისო სამოქალაქო მოსამსახურე ან ნებისმიერი პირი, რომელიც უფლებამოსილია ასეთი ორგანიზაციის მიერ აწარმოოს საქმიანობა მისი სახელით“. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეთა მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა, თუმცა 2006 წლის 25 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებით შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში. კოდექსის 338-ე მუხლში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ 338-ე (ქრთამის აღება), 339-ე (ქრთამის მიცემა) და 339 პრიმა1-ე (ზეგავლენით ვაჭრობა) მუხლების მიზნებისათვის, „მოხელესთანგათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), საერთაშორისო ორგანიზაციის

ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულებისსაფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, ასევე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს,საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოსმოსამართლეს და თანამდებობის პირს“.

საჭიროა ახლად შემოღებული ქონების ჩამორთმევის პროცედურების მონიტორინგი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აღნიშნული პროცედურების გამოყენების რადისკრიმინაციული და თვითნებური გამოყენების აკრძალვას.ქონების ჩამორთმევის საკითხებს ასევე დეტალურად არეგულირებს გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის“ 31-ე მუხლი.უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების განმარტებასა და ჩამორთმევის წესებს ითვალისწინებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VIII თავი. 2007 წლის ივლისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევის ნორმებმა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში გადაინაცვლა.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა „ქონების ჩამორთმევას“ ითვალისწინებს როგორც სასჯელის სახეს და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიმართ დამატებითი სასჯელის სახით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული კორუფციული ქონების ჩამორთმევის წესები კი, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტულ პირთა წრის მიმართ.ამასთან, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევის პროცედურების მონიტორინგსა და აღნიშნული პროცედურების გამოყენების არადისკრიმინაციული და თვითნებური გამოყენების შეფასების ვალდებულებას.საჭიროა შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დებულებები, რათა უზრუნველყოფილ იყოს იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, როცა ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული არასათანადო ზედამხედველობა ან კონტროლი კომისიას საშუალებას აძლევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-40 მუხლი განახორციელოს ქრთამის აღება და ფულის გათეთრება და ვინმეს გავლენით გარიგებაში შესვლა. იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებზე უნდა ჩატარდეს ტრენინგები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საჯარო მოხელეებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იყოს ამ დებულებების სრულყოფილი გამოყენება ქრთამის აღების, ფულის გათეთრების ან ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევებში.

სისხლის სამართლის მიზნებისათვის იურიდიულ პირებში იგულისხმებიან როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო იურიდიული პირები და მათი უფლებამონაცვლეები.

იურიდიული პირისათვის სასჯელის სახეებად განსაზღვრულია:

ა) ლიკვიდაცია

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

გ) ჯარიმა

დ) ქონების ჩამორთმევა.

საქართველო მიუერთდა სისხლის სამართლის კონვენციას, თუმცა ჯერ კიდევ არ მოუხდენია „კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციის“ რატიფიცირება. ამასთან, როგორც წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, საქართველოს კანონმდებლობა მრავალ საკითხში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტს, შესაბამისად, მთვრობის მხრიდან უფრო მეტად საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება რომელიც ყველა მხრიდან მოახდენს კორუფციის ღონის საგრძნობლად შემცირებას.

დასკვნა

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის საგნიდან გამომდინარე პრობლემურ საკითხთა შესწავლის პროცესში, ვფიქრობთ სრულად იქნა რელაიზებული ნაშრომის კვლების მიზნები და ამოცანები. დადგინდა, რომ უძველესი დროიდან იგი არსებობდა და დღემდე საზოგადოებრივი ცხოვრების შემდაგენელი ნაწილიც გახდა. მან დროთა ფეხი მოიკიდა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე. გაირკვა, რომ კორუფციის ერთიანი განმარტება არც ძველად არ არსებობდა და მას სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდა დღესაც მეტად რთულია ზუსტად განსაზღვრო კორუფციის მნიშვნელობა.

წარმოებული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს დასკვნის სახით წარმოვადგინოთ გარკვეული წინადადებები, რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომლებიც ვფიქრობ, არუნდა იყოს ინტერესი, მოკლებული როგორც, პრაქტიკული ისე თეორიული თვალსაზრისით. კორუფციის სახეებს რაც შეხება არ გაირკვა რომ არსებობს მისი სამგვარი სახე ესენია: კორუფცია სახელმწიფო მართის სფეროში, საპარლამენტო კორუფცია და კორუფცია წარმოებებში. აქედან გამომდინარე შევიძლია თამამად, ვთქვათ, რომ კორუფცია თითქმის ყველა სფეროს არის მოდებული.

კორუფციამ, მსოფლიოში არა მხოლოდ პოლიტიკურ ეკონომიკური ცხოვრების სფეროები, მოიცვა არამედ სხვ სფეროებშიც დაიმკვიდრა ადგილი. ამკარაა, რომ მოცემულ ნაშრომში, კორუფციის ისეთი ტიპის განხილვა, როგორც არის პოლიტიკური და ეკონომიკური, კორუფცია, არის ლეგიტიმური. მივიღო ცნობა იმის შესახებ თუ რა შეიძლება მოაზრებულ იქნეს როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ კორუფციას. ასევე ნაშრომში განხილულმა მოსაზრებებმა კორუფციის კლასიფიკაციის შესახებ ნათლად დაგვანხა თუ კორუფციის კლასიფიკაციის რა სახეობები არსებობს ესენია: ქრთმის აღება და ქრთმის მიცემა, "ქვედა" და "ზედა" კორუფცია, კორუფცია სახელმწიფო (მუნიციპალური) და არასახელმწიფო სექტორებში.

ზოგადად როდესაც საუბარია კორუფციაზე რატომღაც კორუფციას მიაწერენ ხოლმე მექრთმეობას. კორუფციის ხსენებისას საზოგადოებას ყოველთვის თვალწინ

წარმოუდგება ორ პირს შორის ურთიერთობა, რა დროსაც ერთი მხარე არის ქრთმის მიმცემი ხოლო მეორე მხარე ქრთმის ამღები, რაც რათქმუნდა კორუფციული დანაშაულია მაგრამ მხოლოდ ეს არ წარმოადგენს კორუფციულ კმოქმედებას, ვფიქრობ ნაშრომში სრულად არის ჩამოთვლილი ის მოქმედებები რაც შეიძება რომ ჩითალოს კორუფციულ ქმედებად, და არა მხოლოდ ქრთმის მიცემა ან ქრთმის აღება.

კორუფციის წარმომქმნელ ძირითად ფაქტორებს რაც შეეება , რომელიც წარმოადგენს ნაშრომის მთვარ არსს, გაირკვა რომ არსებობს უამრავი ფაქტორი რამაც შეიძლება წარმოქმნას კორუფციული დანაშაული. ესენი შეიძლება იყოს პოლიტიკური ფაქტორები, ადმინისტრაციული ფაქტორები, სამართლებრივი ფაქტორები, სოციალური ფაქტორები, ეკონომიკური ფაქტორები, სოციალ-კულტურული ფაქტორები და ა.შ. იმ მრავალრიცხოვანი ფაქტორებიდან, რომელიც ხელს უწყობს კორუფციის წარმოქმნას, პრიორიტეტულად შეიძლება მივიჩნიოთ: კანონმდებლობის არასრულყოფილება,სახელმწიფო სტრუქტურებში,მოხელეთ დამაბალი ხელფასები,მორალურ ღირებულებათ დეგრადაცია და სხვა. პირველ რიგში სწორედ ,რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და სიულიერ სფეროში შექმნილი ვითარების გამოსწორება. მოცემულ ნაშრომში განხილულია ის ძირითდი პრობლემებიც რამაც შეიძება გამოიჭვიოს კორუფციული დანაშაულ. ასევე კორუფციული დანაშაული წარმომქმნელ ფაქტორების განხილვა, შეუძლებელია იმ პიროვნების მახასიათებლების შესწავლის გარეშე , რომელსაც წარმოექმნება ცდუნება რომ ჩიღინოს კორუფციული დანაშაული. კორუფციული დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის მუდმივი, უწყვეტი შესწავლა აუცილებელია, იმ ინდივიდუალურ ხასიათის მახასიათებლების (თვისებების), მისი ინტერესების, მისწრაფებების სისტემატიური იდენტიფიკაციისა და შეფასების მიზნით, რომლებიც საშუალებას მისცემს ინდივიდუალური კრიმინოლოგიური პრევენციული ღონისძიებების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას,რაც ასევე განხილულია მოცემულ ნაშრომში.

საქართველოში გატარებულმა რეფორმებამა რაც ჩტარდა „ვარდების რევოლუციის” შემდგომ ვფიქრობ საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა უამრავი რეფორმა პოლიტიკურ ასევე, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში რამაც,ხელი შეუწყო კორუფციის დონის შემცირებას საქართველოში. ნაშრომში მოყვანილია ის ძირითდი ნორმები, რომელიც ხელს უწყობს იმას,რომ კორუფციული დანაშაული რაც შეიძება ნაკლებად იქნეს ჩადენილი. ნაშრომში ერთ-ერთ თავად

განხილულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება სადაც მოყვანილია ისეთი ქვეყნების მაგალითები, რომლებიც დემოკრატიის თვალსაზრისით წარმოადგენენ ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნებს მსოფლიოში დაა გააჩნიათ კორუფციასთან ბრძოლის უდიდესი გამოცდილება. ვფიქრობ და მართბულად მიმაჩნია, რომ სწორედ, რომ საქართველომ აღნიშნული ქვეყნების მაგალითზე უნდა იმოქმედოს კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ქართველმა კანონმდებლებმა უნდა მოახდინონ ისეთი კანონმდებლობის შემოღება, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და მინიმუმამდე შეამცირებს მის დონეს საქართველოში.

კორუფციის პრევენციას, რაც შეხება იგი უნდა განხორციელდეს არამხოლოდ საჯარო დაწესებულებებში ასევე მთავრობამ უნდა გააკონტროლოს იგი კერძო სექტორის სფეროშიც. მოცემულ ნაშრომში ასევე საუბარია საქართველოს მთავრობის ანტიკორუფციული სამოქმედო სტრატეგიაზე, რაც ვფიქრობ საკმაოდ კარგი და წინ გადადგმული ნაბიჯია კორუფციასთან საბრძოლველად.

ლიტერატურის მიმოხილვა:

1.1. ნაშრომში გათვალისწინებულია ანალიტიკური ხასიათის შემდეგი წყაროები: გ. ლლონტი, მ. ფაჩულია, თ. ჭანტურია. დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა - საქართველო 2012 აკადემიური მაცნე. თბ., 2014, №3, გვ. 10-11, 14-15; მმართველობის ხარისხის გამოკითხვა - საქართველოს ბიუროკრატის შეფასება 2014 წელს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). თბ., 2016; სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი. თბ. 2015: http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/saxelmcipi_shesqidvebi_2013-2014_clebshi.pdf, გვ. 20-21; თბილისის 2015 წლის ბიუჯეტი - კორუფცია, ნეპოტიზმი და ჩინოვნიკებზე განსაკუთრებული ზრუნვა:<http://www.unm.ge/ge/news/tbilisis-2015-clis-biujeti-korupcia-nepotizmi-da-chinovnikebze-gansakutre-buli-zrunva>; საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2015, გვ. 5-6; თ. ვირსალაძე. რატომ გახშირდა სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის ფაქტები?: <http://politcommersant.ge/detalpage.php?newsid=6809>; პრემიერმინისტრის განცხადება შესყიდვებთან დაკავშირებით მანკიერ პრაქტიკას ახალისებს (16 მარტი 2015: <http://www.transparency.ge/node/5097>; ნ. პაიჭაძე. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები – ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი IX. №1, 2016; ინტერესთა

შეუთავსებლობისა და კორუფციის რისკები კულტურის სამინისტროში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2016; მერია, ტენდერები და კორუფცია - რა პრეტენზიები აქვს საკრებულოს ნარმანიასთან?: <http://pirveliradio.ge/?newsid=49045>; „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ სახელმწიფოს შესყიდვების კანონში ცვილებების რეკომენდაციით გამოდის: <http://w.bpn.ge/biznesi/2421-qsarhashoriso-gamtcvirvalobaq-sakhelmtsifos-shesyidvebis-kanonshicvilebebis-rekomendacith-gamodis.html> და სხვ.კორუფციული დანაშაულობის თავიდან აცილების პოლიტიკაში საზოგადოების მონაწილეობის პრობლემატიკის ამსახველი გამოკვლევები.

თვითმმართველობის ინსტიტუციონალური ასპექტების ამსახველი წყაროები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და საქართველოს კანონმდებლობა.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ა.გაბიანი - დანაშაულის მიზეზების შესახებ, რედაქტორი ე.ვაშაკიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969წ.
2. ი.გოძიაშვილი - კრიმინოლოგია, შსს აკადემია, თბილისი, 1998წ.
3. დ.წულაია - კრიმინოლოგია. შსს აკადემია, თბილისი, 2014წ.
4. ზ.წულაია - კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005წ.
5. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი - კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008წ.

6. შსს აკადემია - ოპერატიული ფსიქოლოგია(ოპერატიული მუშაობის ფსიქოლოგიური ასპექტები, ანტი-კორუფციული სამსახურისთვის, თბილისი, 2014წ.
7. მ.შალიკაშვილი - კრიმინოლოგია (მეორე შევსებული და გადამუშვებული გამოცემა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი,2011წ.
8. შსს აკადემია- ოპერატიული მუშაობის ფსიქოლოგიური ასპექტები, ანტი -კორუფციული სამსახურისათვის, 25/06/2014წ.

სამართლებრივი აქტები:

9. “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ”
10. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონი
11. სისხლის სამართლის კოდექსი
12. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონი
13. სამოქალაქო კოდექსი
14. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
15. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია «კორუფციის წინააღმდეგ»
16. „მთავრობის N443 დადგენილება - საქართველოს ევროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”
17. criminal code of france
18. criminal code of USA
19. criminal code of great Britain
20. Российский уголовный кодекс
21. Civil Law Convention on Corruption

უცხოენოვანი ლიტერატურა:

22. Л. В. Глазкова - ГОСУДАРСТВЕННЫЙ ЧИНОВНИК. ИСТОРИЯ КОРРУПЦИИ
23. Юрий Кузовков - Мировая история коррупции
24. с.м иншаков - факторы корофкионной преступности и перспективы правиводействия ей.
25. М. Н. Гернет - СОЦИАЛЬНЫЕ ФАКТОРЫ ПРЕСТУПНОСТИ
26. Айрапетян Э. С. - Причины и условия, порождающие коррупцию
27. А. Л. Журавлев, А. В. Юревич- ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ФАКТОРЫ КОРРУПЦИИ
28. Т. Я. Хабриева, С. Б. Иванов, Ю. А. Чиханчин - Противодействие коррупции новые вызовы
29. Касьянов Василий Степанович - ФОРМЫ, ФАКТОРЫ И ВИДОВЫЕ ПРИЗНАКИ СИСТЕМНОЙ КОРРУПЦИИ
30. რობერტ კლიტგარდი, როლანდ მაკლინ-აბაროა, ჰ.ლინდსეი პარისი - კორუმპირებული ქალაქები , პრაქტიკული სახელმძღვანელო პრევენციისა და აღმოფხვისათვის

ელექტორული წყაროები:

31.

<https://police.ge/files/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93/3.%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83>

[%98%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94.pdf](#)

32. <https://rm.coe.int/168007f3f5>

33. <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

34.

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20New%2F13.%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20N443.pdf>

35. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

36. <https://www.un.org/en/events/anticorruptionday/>

37. https://kpfu.ru/docs/F769475982/2_Xalil_korub.pdf

38. <https://mirec.mgimo.ru/2009-01/korruptsiya-prichiny-vozniknoveniya-vliyaniya-i-metody-borby2>

39. <https://track.unodc.org/Academia/Pages/TeachingMaterials/GlobalCorruptionBook.aspx>

40. <https://www.intechopen.com/books/trade-and-global-market/corruption-causes-and-consequences>